საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 73 (2186) პარასკევი, 19 აპრილი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქართველოს კანონი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

აქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეტანილ იქნეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხებ" 1996 წლის 31 იანვრის საქართველოს კანონში შემდეგი ლებები და დამატებები:

მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

უხლი 7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას უმაღლესი იურიდიული განათლება.

ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევისას თველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომე- უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლ სტატუსს".

მეორე თავს დაემატოს მე-7^1, მე-7^2, მე-7^3 მუხლები:

უხლი 7^1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ ს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონის მე-7 მუხლის ოვნათა გათვალისწინებით. საკონსტიტუციო სასამართლოს თა დანიშვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ნებულებას.

ხლი 7^2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ვს საქართველოს პარლამენტი ამ კანონის მე-7 მუხლის მოთ- ათა გათვალისწინებით.

კონსტიტუციო სასამართლოს წევრად ასარჩევი კანდიდატურების ედგენის უფლება აქვთ:

რლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლა- ის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არ შე- არც ერთ ფრაქციაში.

რლამენტის სხდომაზე კენჭისყრის წინ პარლამენტის თავმჯდო- დამსწრეთ აცნობს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თან- ბას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის თაობაზე. ლ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. კენ- ყრა ფარულია.

კონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. ნჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რო- ც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ პარლამენტის სი- შემადგენლობის არანაკლებ, სამ მეხუთედს.

ე არჩევნებში მონაწილეობს სამი კანდიდატი და რომელიმე ამ ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, პარლამენტის ჯდომარე, საპარლამენტო ფრაქცია ან პარლამენტის წევრთა ათ- ანი ჯგუფი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე იგივე კან- ატურა დასამტკიცებლად წარმოადგინოს პირველი კენჭისყრი- ათი დღის შემდეგ.

უ პირველი კენჭისყრა ტარდება პარლამენტის სესიის ბოლო ან დარჩენილ ვადაში შეუძლებელია კანდიდატის არჩევა, ხალი კენჭისყრა ეწყობა პარლამენტის მომდევნო სესიის პირ- ავე სხდომაზე.

უ არჩევნებში მონაწილეობს სამზე მეტი კანდიდატი და მოსა- ელეთა საჭირო რაოდენობა ვერ აირჩა, ეწყობა ხელახალი კენ- ა. ამ შემთხვევაში კენჭს უყრიან იმ სამ კანდიდატს, რომლებ- პირველ ტურში სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს.

ული 7^3. საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს სა- რთველოს უზენაესი სასამართლო ამ კანონის მე-7 მუხლის მოთ- ათა გათვალისწინებით.

კონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯ- მარე. კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი დატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრთა ხმათა ორ მე- ს მიიღებს".

ეს კანონი ამოქმედდეს 1996 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

ლისი. 1996 წლის 21 მარტი.

აჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

ქ. ლომთათიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

რთული ენათმეცნიერების განვითარებაში შეტანილი თვალ- ო წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ზადოებრივი მოღვაწეობისათვის არნოლდ ჩიქობავას სახელო- ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, აკადე- ს **ქეთევან ლომთათიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

წლის 1 აპრილი ქ. თბილისი

ჯოგელიასა და ი. თოდრაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ბჟუჟესის" მშენებლობის, მისი სტაბილურად ფუნქციონირე- უზრუნველყოფის, ოზურგეთის რაიონის მოსახლეობის ელექ- ენერგიით მომარაგების საქმეში განსაკუთრებული წვლილისა ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „ბჟუჟესის" ტექნი- დირექტორი **შაქრო ჯოგელია** და უფროსი ოსტატი **ილია რაძე** დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

ეპეშა

ჭიდრო ურთიერთობა ომავალშიც გაგრძელდება

ოკავშირის პრეზიდენტმა ტერმა დეპეშა გამოუგზავ- ქართველოს პრეზიდენტს დ შევარდნაძეს. ბატონი ო მადლობას მოახსენებს ველოს პრეზიდენტს გულ- წერილისათვის, რომე- ებოდა ბოლო წლებში ევ- შირის მიერ საქართველოსა- გაწეულ დახმარებას.

ზე მოხარული ვარ, რომ ავშირს საშუალება ჰქონდა ული წვლილი შეეტანა ქვეყნის აღორძინებაში, მაც მეტად რთული პერი- განვლო. შემიძლია დაგარწ- , რომ იგი მომავალშიც ითვალისწინებს თქვენი ქვეყ- ინტერესებს.

ნობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიცნობიეროთ არა მარტო ევროკავშირისა და საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა, არამედ პირადად თქვენი და თქვენი ქვეყნის როლი მთლიანად რეგიონის აღორძინების საქმეში.

ჩემთვის ცნობილია, რაოდენ ზრუნავთ თქვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებისათვის. ჩვენ მივესალმებით უახლეს მოვლენებს ამ მიმართულებით და ვიმედოვნებთ, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

მოხარული ვარ, რომ მალე გიხილავთ ბრიუსელში".

ედუარდ შევარდნაძე: „დადგენილების მიღებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა, რომ საჭიროა ვეძებოთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები"

17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მრავალდღიანი განხილვის შემდეგ მიიღო დადგენილება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

განმარტა რა ეს მოვლენა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული შეფასებები „თუმცა მკაცრი, მაგრამ სავსებით სამართლიანია".

მთავარი ის არის, რომ პარლამენტმა გაიზიარა და მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შესახებ, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოებრიობის ისეთი ატრიბუტების არსებობას, როგორიცაა საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, დროშა, გერბი, ჰიმნი და სხვები, ფართო უფლებები ეკონომიკურ, ფინანსურ-საგადასახადო, სოციალურ სფეროებში.

დადგენილების მიღებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა, რომ საჭიროა ვეძებოთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები, მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

შიდა ქართლის კულტურის დღეები

შიდა ქართლის მხარის კულტურის დღეები

„ჩვენ ერთი ოჯახი ვართ"—ითქვა გუშინ ჟურნალისტთა ფედერაციაში შეხვედრაზე

შეხვედრა კი, რომელიც შიდა ქართლის მხარის კულტურის დღეების პროგრამის მიხედვით ჩატარდა, სრულიად მოულოდნელი აკორდით დაიწყო: საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ შიდა ქართლის მხარის ჟურნალისტებსა და მათ მასპინძლებს სთხოვა ფეხზე ადგომით ეცათ პატივი მოსკოველი ჟურნალისტის „ობშჩაია გაზეტას" კორესპონდენტის ნადეჟდა ჩაიკოვას ხსოვნისათვის, რომელიც ამ ერთი კვირის წინ დაიღუპა დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ „ცხელ წერტილში" — ჩეჩნეთში.

კარგახანია ჟურნალისტობა სიცოცხლისათვის საშიშ პროფესიად ითვლება და ამის დასტურად აფხაზეთში, ან სულაც დამნაშავეობის სამყაროსთან უთანასწორო ჭიდილში დაღუპული ჟურნალისტების სახელის გახსენებაც კმარა. ჟურნალისტთა ფედერაციაში შეხვედრაზე მათ შესახებაც ითქვა.

ბოლო ხუთი-ექვსი წელი — ეს იყო ქართლის რაიონების პრესის მუშაკების, სამხარეო ჟურნალისტთა ორგანიზაციის, თვით ფედერაციის წრთობის, მოქალაქეობრივი შეგნებისა და პოზიციის დაფიქსირების, ქვეყანაში გამეფებული ანარქიისა და უწესრიგობის, უკონტროლობისა და შიდააშლილობის წინააღმდეგ ბრძოლის წლები.

დღეს ქვეყანამ, რომ იტყვიან, გამოიხედა, ფეხზე დადგა, გაიმართა და უკვე ისეთ საქმეებს ეჭიდება, იმ წლებში რომ აშკარად მოეჩვენებოდა კაცს. ეს გახლავთ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების გადარჩენისათვის ზრუნვა.

შეხვედრაზე შიდაქართლელმა ჟურნალისტებმა ილაპარაკეს თუ რა მუშაობას ეწევიან ისინი ამ მიმართულებით, რამდენად ქმედითია ის საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც მხარის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისკენაა მიმართული.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" აჭარის ბიუროს ხელმძღვანელმა გია ჭელიძემ, პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა, გაზეთ „შიდა ქართლის" რედაქტორის მოადგილემ რობერტ ოდიკაძემ, ჟურნალ „მედიცინის" მთავარმა რედაქტორმა ჯანგირ მამალაძემ, ჟურნალ „ჟურნალისტის" მთავარმა რედაქტორმა გივი ჭელიძემ, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარმა რედაქტორმა აპოლონ სილაგაძემ.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქის დავით მჭედლიშვილის გამოსვლა.

საერთო პრობლემები, საერთო გასაჭირი, საერთო საზრუნავი, ჭირიც და ლხინიც საერთო — აი, რა აერთიანებდათ და დღესაც რა აერთიანებთ ქართველ ჟურნალისტებს იმისდა მიუხედავად, თუ სად მოღვაწეობენ ისინი — დედაქალაქში თუ რაიონებში. მოჭადრაკეების მსგავსად საქართველოს ჟურნალისტებსაც შეუძლიათ თქვან — ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, სიხარულიც ერთი გვაქვს და სატკივარიც.

ამ საკითხზე დიდხანს საუბრობდნენ ჟურნალისტთა ფედერაციაში შეკრებილები. გამოითქვა ბევრი საყურადღებო მოსაზრება, რჩევა და რეკომენდაცია, რომელმაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს ადგილებზე ჟურნალისტური ორგანიზაციების, ელექტრონული პრესის, რედაქციების მუშაობის გააქტიურებას.

შეხვედრის მონაწილეთა ერთ ჯგუფს გადაეცა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სიგელები. ფედერაციის წევრად მიიღეს შიდა ქართლში მოღვაწე ჟურნალისტები.

ხე ალვად ამოდიოდა

გორში ცხოვრობს დადიანიძეების თეატრალური ოჯახი. ოჯახის თავი ვაჟა დადიანიძე პოეტი და დრამატურგია, მეუღლე — მაგული გარდაფხაძე — გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეა, დადიანიძეების უფროსი ვაჟი — ზურაბი რეჟისორის ასისტენტია, ქალიშვილი გვანცა, წლეულს ამთავრებს უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტს, მაგრამ ბავშვობაში თეატრის სცენის მტვერი „გადაუყლაპავს". და არჩევანიც მაშინ მომხდარა: თეატრი!

გვანცამ უკვე შეასრულა რამდენიმე მთავარი როლი თეატრის ისეთ დადგმებში, როგორიცაა „ხანუმა", „დოლი და ძვლები" და „ხე ალვად ამოდიოდა".

ეს უკანასკნელი თბილისელმა მაყურებელმა პირველად გუშინ ნახა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ეს პიესა გორის სცენაზე დღემდე სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს ამის მიზეზი სპექტაკლის ჩინებული დადგმისა და შემსრულებელთა შესაშური ოსტატობის გარდა სხვა რამეშიც უნდა ვეძიოთ. ქართული მითებისა და თქმულებების უდიდესი ნაწილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ძირითადად ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა. ბუნებრივია, რომ მას დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი სახე და ძნელდება მისი აღდგენა. ჩემი ყურადღება, — ამბობს პიესის ავტორი, — მიიქცია ერთმა საფერხულო ტექსტმა, რომელიც რამდენიმე ვარიანტად გვხვდება. აი, ერთი ასეთი ვარიანტი:

„ჩვენი მასპინძლის მარანში,
ხე — ალვად ამოსულაო,
ზედ გამოუსხამს ყურძენი,
ქვემორე წარმოსულაო.
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი,
უდროოდ დაღუპულაო".

ავტორი შეეცადა მხატვრულად გაეაზრებინა და პოეზიის ფორმით აღედგინა ამ ფრაგმენტში ბუნდოვნად შემორჩენილი „ცხოვრების ხის" — ალვის მარადიული ძიების აუცილებლობა.

თუ გაჭედილი დარბაზით და მაყურებლის რეაქციით ვიმსჯელებთ, ავტორმაც და დამდგმელმა კოლექტივმაც საწადელს მიაღწიეს: შექმნეს ამაღლებული, ამაღელვებელი სპექტაკლი.

გურამ ჭაშაკიძე.

ძველი ალბომიდან

პოეტი... ჩვენთან

იგი ჯერ კიდევ ცოცხალითაა, ჩვენს გვერდით, ჩვენს შორის ტრიალებს თითქოს, უკვე მხცოვანი და მაინც მხნეობით, სიტყვამახვილობით და სიტყვამარდობით გამორჩეული პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, გიორგობისთვის, გიორგობა დღის ძე—უფროს ძმას ერქვა გიორგი და ამიტომ ვეღარ დამარქვეს ეს შესანიშნავი სახელიო, — თქვა ერთხელ...

თორმეტი დედმამიშვილი ვიყავითო, — ამაყობდა, იმერეთსა და პატარაობას, პატარა ხონს ტკბილი სიზმარივით იხსენებდა. მოსალამურე ყმაწვილი ხატობებს არ აკლდებოდა, რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად მაცხოვრის, ივანდიდის, წმინდა გიორგის ეკლესიების გალავანში. სულ ჯიბეში მედოო ჩემივე გამოთლილი სალამური და ახლაც, თუ დრო გამოვძებნე, უსათუოდ გავიხსენებ ხოლმე ძველ ხელობასო.

აკი აჩუქა კიდეც ცნობილ ამერიკელ მწერალს ჯონ სტეინბეკს სალამური, როცა ისტორიული ადგილები მოატარა, აჩუქა საქართველოს სუნთქვის გასახსენებლად. მერე, მოგვიანოდ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ სტეინბეკისავე მოგონებებში იჩინა თავი იმ სალამურმა, საქართველოში მოგზაურობისას რომ უსახსოვრა ქართველმა პოეტმა...

რამდენი გულის სიტყვა, გულისპასუხი გაუცია თავისი პოეტური სალაროდან მგოსანს! რამდენი უცხოელი ეზიარა საქართველოს წარსულს, მისი ათასხუთასწლოვანი მწერლობის დიდების — შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილედან დაწყებული სიცოცხლის ბოლო წუთამდე — რუსთაველისა, რომლის ნაკვალევზეც მან მოწამესავით იარა აკადემიკოსებთან აკაკი შანიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად და ომახიანი შეძახილით შეაღვიძა კატაკომბები. სად არ ყოფილა, ცხრა მთა გადაუვლია, ბევრი მოყვარე შეუძენია თავისთვისაც და საქართველოსთვისაც. ნამდვილი ქართული მეგობრობა აკავშირებდა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, მეტადრე ლადო გუდიაშვილთან, რომლის სახელოსნო ანდამატივით იზიდავდა ხოლმე არა მხოლოდ როგორც შემოქმედს, არამედ როგორც თანამოაზრეს, ადამიანს, რომელმაც იცოდა ნატიფი ხელოვნების ფასი!

ახლახან გამოჩენილ მხატვარს 100 წელი შეუსრულდა; რომ შესწრებოდა ამ თარიღს, ასჯერ მოუწევდა თამადობა, ასჯერ გალექსავდა სათქმელს.

მათი სიყვარულის დასტურია ეს ფოტოსურათიც, პოეტის ფოტომატიანედან რომ გამოვარჩიეთ. და მას საკუთარი ალბომიდანაც მინდა შევამატო კადრი: „ჩვენ და ბატონი ირაკლი აბაშიძე"... ჩვენ, ანუ რედაქცია, რომლის საყვარელი სტუმარიც იგი ბრძანდებოდა. შემოაღებდა ხშირად ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების კარს, ღიმილით მოგვესალმებოდა, მოგვიკითხავდა, როგორც ტოლი, როგორც სწორი ჩაჯდებოდა ჩვენს შორის და ახალ ამბებს, ახალ ლექსებს გვაზიარებდა.

ის წუთები ჩვენი სულიერი სიმდიდრის ნაწილად იქცა!...

ნანა ღვინეფაძე.

• • •

სურათებზე: ლადო გუდიაშვილი და ირაკლი აბაშიძე.

ჩვენ და პოეტი (80-იანი წლების დასაწყისი).

ქართულ—ოსური კონფლიქტის მოგვარების რეალური პერსპექტივა

17 აპრილს ცხინვალში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციათა ხელმძღვანელებმა — ი. მენაღარიშვილმა, ვ. გაბარაევმა, ბ. პასტუხოვმა, ი. ბირაგოვმა და დ. ბოდენმა ხელი მოაწერეს ოქმს „ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა მემორანდუმის" პარაფირების შესახებ. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმის ხელმოწერის ადგილი და დრო დამატებით განისაზღვრება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

ცხინვალში პარაფირებული დოკუმენტი ადასტურებს, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებები რუსეთის საშუამავლო და სამშვიდობო მისიის გაძლიერების თაობაზე რეალური და შედეგიანია.

აღსანიშნავია ახსარბეგ გალაზოვის აქტიური როლი, ევროკავშირის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი წვლილი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში.

მისასალმებელია ლუდვიგ ჩიბიროვის ინიციატივა ჩვენი შეხვედრის მიზანშეწონილობის გამო. ევროპაში მივლინებიდან დაბრუნებისთანავე, ჩვენ შევთანხმდებით შეხვედრის დროსა და ადგილზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ინფორმაცია

აღრიცხვის სისტემა გამართულად რომ მუშაობდეს

გაფორმდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლობის შეთანხმება. ამასთან დაკავშირებით 17 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის დელეგაცია სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის იური იურკოვის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორის მოადგილე ალექსანდრე გოლუბცოვი და დაღესტნის სტატისტიკური კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ილიუშენკო. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლერი ჭიღინეიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ვინ მოითბო ხელი თურქმენეთის გაზზე?

17 აპრილს დროებითი ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე შეხვდა საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მიხეილ ჩიკვილაძეს, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს ავთანდილ სილაგაძეს და ამ უწყებათა სხვა წარმომადგენლებს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი. აღინიშნა, რომ კომისია ამჟამად იძიებს თურქმენეთიდან გაზის მოწოდებაზე საქართველოს ვალის დაფარვის პროცესში კომერციული, კერძო სტრუქტურების მონაწილეობისას, პრივატიზაციის მიმდინარეობისას დაშვებულ დარღვევებს. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს საპარლამენტო კომისიასთან თანამშრომლობის სრული მზადყოფნა და ხაზი გაუსვეს კოორდინირებული მოქმედების აუცილებლობას.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

„ალო, ცხინვალია?— ელაპარაკეთ გორს!"

ამ ორ ქალაქს შორის აღდგა სატელეფონო კავშირი

დრო კურნავს, დრო ტკივილებს აყუჩებს....

ცხინვალის რეგიონში ნამდვილ ომს წინ უსწრებდა არანაკლებ ნამდვილი სატელეფონო ომი. და რადგან ტელეფონისტები, როგორც წესი, ქალები არიან, ეთერი სავსე იყო ასეთი „მარგალიტებით":

— დამიწდი!
— შენი ოჯახი ამოწყდა!
— შენი ჯიში გაწყდა!
— შე ოხერო!
— შე ქართველო!

შემდეგ უკვე იცით, რაც იყო: ტელეფონისტი ქალების ეს „ალერსიანი" გადაძახილი „ალაზნებმა" და „გრადებმა" ჩაახშო... დიდი ხნით...

ეს ორი წელია ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებებმა საგრძნობლად წაიწია წინ. შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციის ძალისხმევით (რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ვამცირებთ ოსური მხარის მონდომებასაც), ბევრი რამ გაკეთდა და მოგვარდა: აღდგა საავტომობილო მოძრაობა, [illegible] დღეს უფრო უშიშრად, ვიდრე უწინ, ჩადიან ცხინვალში — არემონტებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს, ამუშავებენ ბაღ-ვენახებს; თავის მხრივ, ცხინვალში გახიზნულებიც ბრუნდებიან გორსა და ქარელში, თავიანთ საცხოვრებელ სოფლებში.

ამას წინათ, ყოფილი ზნაურის რაიონის ერთ კომპაქტურ სოფელში ქორწილში გახლდით, პატარძალი ცხინვალიდან ჩამოიყვანეს — მშვენიერი ოსი ქალიშვილი.

ღმერთმანი, ავტომატის ხელში ჭერას ყანწების ტრიალი სჯობს...

ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე ნათელი ნიშანსვეტია ცხინვალსა და გორს შორის სატელეფონო კავშირის აღდგენა. საამისოდ ორივე მხარემ ნაყოფიერად იღვაწა.

დაბრკოლება ბევრი გადავლახეთ, ტექნიკური, გნებავთ პოლიტიკური, — თქვა საქართველოს ელექტროკავშირების გორის ტერიტორიული ფილიალის მმართველმა გივი სამადალიშვილმა, — და მაინც სალმა აზრმა გაიმარჯვა. მინდა მადლობის სიტყვები ვუთხრა ჩემს ცხინვალელ კოლეგებს — კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს უფროსს ვალერი კოჩიევს. მან ყველაფერი იღონა სატელეფონო კავშირის ასაღდგენად.

მე დავესწარი გორი-ცხინვალის პირველ სატელეფონო საუბარს. იმ დღეს კავშირგაბმულობის გორის სატელეფონო ცენტრში მორიგეობდნენ მელსმენე დალი ბერუაშვილი და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის საამქროს უფროსი ვიოლეტა საბაშვილი.

ხაზი ჩაირთო და ეთერში გაისმა ცხინვალელი ტელეფონისტი ქალების ზალინა ბაგაევასა და მარინე ოქროპირიძის ხმა:

— გამარჯობათ, ძვირფასო, გორელებო, ძალიან მოგვენატრეთ!..

პასუხმაც არ დააყოვნა:

— გამარჯობათ, ჩვენც ძალიან გვენატრებით!..

შემდეგ კი სატელეფონო ჯიხურებში აბონენტების გამოძახება დაიწყო.

დრო კურნავს, დრო ტკივილებს აყუჩებს...

გურამ პაპლიაშვილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ ამოქმედდეს 1996 წლის 15 აპრილიდან.

პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

საქართველოს კანონი
„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

თავი I. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები

მუხლი 1.

1. საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხორციელდება კონსტიტუციისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.
2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე 37-ე, 38-ე, 39-, მე-40, 41-ე მუხლების პირველ ნაწილებში და 42-ე მუხლში მოხსენიებული პირები და ორგანოები თანაბრად არიან უფლებამოსილნი უშუალოდ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს.
3. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები.

მუხლი 2.

1. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს ღია სხდომაზე.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით სახელმწიფო, პირადი, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს. აუცილებლობის შემთხვევაში, დახურულ სხდომაზე შეიძლება დაესწრონ მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც.
3. განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს სათათბირო ოთახში.
4. სასამართლო სხდომაზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი, თუ ის არ არის მოწმე, ასევე — შეიარაღებული პირი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს იცავენ. ეს უკანასკნელნი დაიშვებიან მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით.
5. სასამართლო სხდომაზე რადიო, ტელე, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით.

მუხლი 3.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. სასამართლო ვალდებულია მიუჩინოს თარჯიმანი პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას.

მუხლი 4.

1. საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ ამ საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილე მოსამართლეებს. თუ რომელიმე მოსამართლე შეიცვალა, საქმის განხილვა თავიდან იწყება.
2. საქმის განხილვაში მონაწილე რომელიმე მოსამართლის ჩამოცილება არ აბრკოლებს საქმის შემდგომ განხილვას, თუ დარჩენილთა ოდენობა ქმნის მოსამართლეთა კვორუმს.

მუხლი 5.

სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად. სასამართლო ვალდებულია კანონით დადგენილი წესით მოისმინოს სამართალწარმოების მონაწილეთა განმარტებები და სიტყვები, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებები, გამოაქვეყნოს საქმეში არსებული და პროცესის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები.

მუხლი 6.

1. სასამართლო სხდომა, ასევე მოსამართლეთა თათბირი სამუშაო დღის განმავლობაში შეუწყვეტლად მიმდინარეობს.
2. სასამართლო უფლებამოსილია გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ აუცილებელია დამატებით მოწმეთა და სპეციალისტთა გამოძახება, ექსპერტიზის ჩატარება, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, ასევე საქმის განხილვის დამაბრკოლებელ სხვა გარემოებათა აცილება. საქმის განხილვა გრძელდება მისი შეჩერების მომენტიდან.
3. საქმის განხილვა ყველა შემთხვევაში უნდა დასრულდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით დადგენილ ვადაში. ამ ვადაში არ შედის საქმის განხილვის მომზადებისათვის ამ კანონით დადგენილი ვადა.
4. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვა საქმის განხილვაში გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე.

მუხლი 7

1. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.
2. საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
3. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც გადმოიცემა წერილობითი ფორმით.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება პრესაში.
5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად სრული სახით ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 8.

1. არავის აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მოსთხოვოს ანგარიში ან განმარტება კონკრეტულ საქმეზე.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს:

ა) საქმის განხილვის დაწყებამდე, აგრეთვე სასამართლოს სხდომის გარეშე, გამოთქვას მოსაზრებები ან მისცეს ვინმეს კონსულტაცია განსახილველი კანონების ან სხვა აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ;

ბ) გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია.

მუხლი 9.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კოლექტიური პრინციპით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესი დადგენილია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლებით.

თავი II. განსჯადობა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი

მუხლი 10.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლსა და მე-20 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი საკითხები.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საკითხები გამიჯნულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

მუხლი 11.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის (დებულების) არაკონსტიტუციურად ცნობას.
2. თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას, რომელთა ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია, ხოლო ნაწილი ხელისუფლების სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

მუხლი 12.

1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები არიან:

ა) მხარეები — პირები და ორგანოები, რომლებიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად ითვლებიან მოსარჩელეებად ან მოპასუხეებად;

ბ) მხარეთა წარმომადგენლები — ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთათვის მხარეთა უფლებამოსილების გადაცემა ფორმდება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მხარეთა ინტერესების დამცველნი — ადვოკატები ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირები, რომლებიც სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტითა და მე-20 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე. მე-19 მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე დასკვნის მომზადებისას საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი თანამდებობის პირები და მოისმინოს მათი განმარტება, მაგრამ ამ პირებს მხარედ არ აღიარებს.

მუხლი 13.

1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს თანაბარი უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარადგინონ მტკიცებულებანი, დაუსვან კითხვები ერთმანეთს, მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს, მიმართონ შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გამოვიდნენ დასკვნითი სიტყვით.
2. მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს თავდაპირველი მოთხოვნის საგანი და საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, აგრეთვე, საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.
3. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე შეტანილი წარდგინების ავტორი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მოთხოვნა დააკმაყოფილოს.
4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლო არ არის უფლებამოსილი უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.
5. მოპასუხე უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.

მუხლი 14.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

თავი III. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განსახილველად მიღება

მუხლი 15.

1. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანა.
2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტითა და მე-20 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე შეტანილი უნდა იქნეს კონსტიტუციური წარდგინება, ხოლო დანარჩენ საკითხებზე — კონსტიტუციური სარჩელი.

მუხლი 16.

1. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;

ბ) მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის, აგრეთვე მოპასუხის დასახელება და მისამართი;

გ) სადავო აქტისა და მისი გამომქვეყნებელი ბეჭდვითი ორგანოს დასახელება, აგრეთვე სადავო აქტის სხვა რეკვიზიტები;

დ) მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას;

ე) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი;

ვ) მოთხოვნის არსი;

ზ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომლებიც მოსარჩელეს ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას აძლევს;

თ) კონსტიტუციურ სარჩელზე ან კონსტიტუციურ წარდგინებაზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართი, რომლებიც მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით გამოძახებულნი უნდა იქნენ საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. კონსტიტუციურ სარჩელს ან კონსტიტუციურ წარდგინებას აუცილებლად უნდა ერთვოდეს:

ა) სადაო ნორმატიული აქტის ტექსტი;

ბ) მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;

გ) საბანკო დაწესებულების მიერ დამოწმებული ცნობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

3. კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება, თანდართული საბუთები, შედგენილი უნდა იყოს სამართალწარმოების ენაზე.

მუხლი 17.

1. საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი წესით გადაეცემა ერთ-ერთ კოლეგიას საქმის განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.
2. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მიღებიდან 7 დღის ვადაში კოლეგია ვალდებულია განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხი.
3. კოლეგიას საქმეს მოახსენებს კოლეგიის ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 18.

კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ:

ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ);

გ) მასში მითითებული სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

დ) მასში მითითებული საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;

ე) მასში მითითებული საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით.

მუხლი 19.

ამ კანონის მე-18 მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული მოტივებით კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიუღებლობა გამორიცხავს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით განმეორებითი კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებას.

მუხლი 20.

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი, ადვოკატი და მოისმინოს მათი განმარტება ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ საკითხთა შესახებ, თუ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ წერილობითი განცხადებით.

მუხლი 21.

კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) განჩინების მიღების დრო და ადგილი;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სხდომის მდივანი;

გ) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;

დ) საკითხი, რომელზეც უნდა გამოიტანონ განჩინება;

ე) მოტივები და საქართველოს კონსტიტუციის, აგრეთვე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონისა“ და ამ კანონის დებულებები (ნორმები), რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ მიიღო ან არ მიიღო განსახილველად კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება;

ვ) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების ან მიუღებლობის შესახებ;

ზ) საქმის არსებითად განხილვის თარიღი. საქმის არსებითად განხილვა უნდა დაიწყოს არა უგვიანეს მე-15 დღისა განჩინების გამოტანის დღიდან;

თ) საქმის არსებითად განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება.

მუხლი 22.

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება გამოაქვს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. სხდომის თავმჯდომარე განჩინებას აცხადებს სხდომის დარბაზში.

მუხლი 23.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის შესახებ დგება ოქმი ამ კანონის 34-ე მუხლით დადგენილი წესით.

თავი IV. საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა

მუხლი 24.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი საქმეს არსებითად განიხილავს პლენუმის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
2. პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 6 წევრი.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია საქმეს არსებითად განიხილავს კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
4. კოლეგია უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 3 წევრი.

მუხლი 25.

1. საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე:

ა) გახსნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება არსებითად;

ბ) ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას;

გ) ამოწმებს მხარეთა უფლებამოსილებას;

დ) არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზს;

ე) აცხადებს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივანს;

ვ) განუმარტავს სამართალწარმოების მონაწილეებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით განსაზღვრულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს;

ზ) არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოძახება ან დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა. ამ საკითხებზე შემოსულ შუამდგომლობებს სასამართლო წყვეტს სხდომის დარბაზში ხმათა უმრავლესობით;

თ) აცხადებს საქმის არსებითად განხილვის დაწყებას.

2. მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის აცილებაზე, თუ:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი სპეციალისტი, თარჯიმანი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.

ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, ექსპერტს, სპეციალისტს, თარჯიმანს უფლება აქვთ განერიდონ საქმის განხილვაში მონაწილეობას.

აცილების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26.

1. საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით. საქმის მომხსენებელი ვალდებულია:

საკონსტიტუციო სასამართლოს მოახსენოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისა და საქმის არსებითად განხილვის საფუძველი, აგრეთვე საქმეში არსებული მასალების შინაარსი;

უპასუხოს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

2. საქმის მოხსენების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს ჯერ მოსარჩელის, ხოლო შემდეგ მოპასუხის განმარტებებს. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს მისცეს შეკითხვები.
3. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლო მოისმენს მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებებს, აქვეყნებს საქმეში არსებულ და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. თავმჯდომარე აგრეთვე აფრთხილებს თარჯიმანს შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე.
4. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს.
5. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე და საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით მოხსნას მხარეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთათვის მიცემული შეკითხვა.

მუხლი 27.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევთა მიმართ ზომების გამოყენება, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდებასა და ჩვენებაზე უარის თქმის ან წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 28.

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმის განხილვის მონაწილეთა დასკვნით სიტყვებს. ჯერ გამოდიან მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი. დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს.

მუხლი 29.

1. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ან დასკვნაზე ხელმოწერის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას ან დასკვნას აცხადებს სხდომის დარბაზში.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა ცხადდება საქართველოს სახელით.

მუხლი 30.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. გადაწყვეტილებას ან დასკვნას საკონსტიტუციო სასამართლო საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე.

მუხლი 31.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

მუხლი 32.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ან დასკვნის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;

ბ) გადაწყვეტილების ან დასკვნის გამოტანის თარიღი და ადგილი;

გ) სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი;

დ) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;

2. აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს:

კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მოთხოვნა;

მოპასუხის პოზიცია.

3. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი;

ბ) მტკიცებულებანი, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები;

გ) მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მტკიცებულებას;

დ) საქართველოს კონსტიტუციის ნორმები (დებულებები), რომლებსაც შეესაბამება ან არ შეესაბამება სადავო აქტი;

ე) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების ან დასკვნის მიღებისას.

4. სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს:

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მისი უარყოფის შესახებ;

გადაწყვეტილების ან დასკვნის სამართლებრივ შედეგებს.

მუხლი 33.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ქვეყნდება 7 დღის ვადაში.

2. გადაწყვეტილების პირი ეგზავნებათ მხარეებს, ხოლო დასკვნის ასლი — კონსტიტუციური წარდგინების ავტორებსა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტში აღნიშნულ შესაბამის თანამდებობის პირებს.
3. გადაწყვეტილებებისა და დასკვნების პირები აუცილებლად ეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მუხლი 34.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ადგენს საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის მდივანი.
2. სასამართლოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

სასამართლოს სხდომის თარიღი და ადგილი;

სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;

საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება, საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლენი და ის მოსამართლენი, რომლებიც რაიმე მიზეზით ვერ იღებენ მონაწილეობას საქმის განხილვაში;

სხდომის მდივანი;

საქმის დასახელება;

ცნობები საქმის განხილვის მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და თარჯიმანთა, აგრეთვე მათთვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შესახებ;

თავმჯდომარის განკარგულებანი და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხდომის დარბაზში მიღებული დადგენილებანი;

საქმის განხილვის მონაწილეთა განცხადებები და განმარტებები;

მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებები, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული წერილობითი მტკიცებულებები.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 35.

1. საქმეთა განსახილველად მომზადებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციის სხვა წესები განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია არჩევიდან 15 დღის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.
3. რეგლამენტი დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ ღია კენჭისყრის დროს მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 6 წევრმა.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 21 მარტი.

ინფორმაცია

გამოცდილებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა სამთავრობო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით.

ვიზიტის მიზანი იყო ამ ქვეყნის ელექტროენერგეტიკის ფუნქციონირების სპეციფიკის, ამ დარგში მიმდინარე რეფორმებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის გაცნობა.

დელეგაციის წევრების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მარეგულირებელი კომისიის საქმიანობამ, რომელიც მუშაობს ტარიფების დადგენის, ლიცენზირების საკითხებზე, აწესრიგებს ურთიერთობას მომხმარებლებსა და მწარმოებლებს, მთავრობასა და ენერგოკომპანიებს შორის და სხვა.

ეს ყველაფერი მით უფრო საინტერესო იყო, რომ მსგავსი ორგანო საქართველოშიც უნდა შეიქმნას. დელეგაცია შეხვდა საქმიანი წრეების წარმომადგენლებს და შესაძლო ინვესტორებს.

ამის შესახებ მოხსენდა სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს 17 აპრილს გამართულ თათბირზე.

აღინიშნა, რომ შესწავლილი გამოცდილება ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული დარგის რეფორმების განხორციელებას, რაც შესაძლებელს გახდის არა მარტო ენერგოკრიზისიდან ქვეყნის გამოსვლას, არამედ საქართველოს ეკონომიკის აღმავლის ტენდენციის შენარჩუნებას და გაძლიერებას.

დარღვევები... დარღვევების გამო მიმდინარე გამოძიებაში

17 აპრილს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ გამართა თათბირი ჰუმანური დახმარების ტვირთების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და ვაჭრობის აღკვეთის ღონისძიებების შესახებ.

თათბირზე მწვავედ განიხილეს შემოტანილი ჰუმანიტარული სურსათისა და მედიკამენტების ვარგისიანობის, დახმარების მიმღებთა სიების გაყალბების, ტვირთის აღრიცხვისა
ანგარიშების კოორდინირებ
საკითხებში შექმნილი პრობ
ლემები. მეტიც, გამოვლინდ
დარღვევები ამ დარღვევებ
გამო აღძრული საქმეების ძიე
ბის პროცესში.

სახელმწიფო მინისტრის მ
ადგილემ ზაზა შენგელიამ
გასმით აღნიშნა, რომ არსებუ
სიტუაციაში ყველა სამინისტ
ომ თავისი როლი და ფუნ
ცია უნდა შეასრულოს, ამა
თანავე მათ მუშაობაში, ამ პრო
ბლემისადმი დამოკიდებულ
ბაში ახალი ტენდენციები უნ
გაჩნდეს, რადგან ჰუმანური დ
ხმარების პროგრამებს უახლო
ეს მომავალში განვითარებ
პროგრამები შეცვლის, რომე
თა უკან რეალური ინვესტორ
ები დგანან.

საქართველოს პრეზიდე
ტის პრესსამსახური — ს
ქინფორმი.

ქართველოს პარლამენტში

განხილვა გაგრძელდება

18 აპრილს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოისმინეს ქართველოს 1995 წლის სახელმწიფო კრებსითი ბიუჯეტის შე- რულების ანგარიში, რომელიც ფინანსთა მინისტრმა დავით კობიძემ წარმოადგინა. საქართველოს კონტროლის პალატის ხსნება 1995 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე მთავრობის ან- რიშთან დაკავშირებით გააკეთა კონტროლის პალატის თავმ- დომარის პირველმა მოადგილემ მიხეილ ჩიკვილაძემ.

წარმოდგენილ მოხსენებებთან დაკავშირებით პარლამენტის ფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოსაზრებები დეპუტატებს აცნო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ, როგორც ნ განაცხადა, ბიუჯეტის შესრულების ანალიზის დროს კო- იტეტმა მხედველობაში მიიღო მხოლოდ პარლამენტის მიერ კა- ონით დადგენილი პარამეტრები. აღინიშნა, რომ ბიუჯეტის კა- ონის ცხრა მუხლით განსაზღვრული შემოსავლები შეუსრუ- ებელია, ხუთი მუხლით განსაზღვრული ხარჯები ყველა და- ვეულია, ამგვარად, კომიტეტის დასკვნა ასეთია — მთავრ- ბამ ვერ მოახერხა 1995 წლის ბიუჯეტის შესრულება.

რესპუბლიკის მთავრობა თავისი შეხედულებისამებრ აწესე- და პროპორციებს დამატებითი ხარჯების გაწევის დროს, აც იწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს ხარჯების დამტკიც- ბულ სტრუქტურაში, მაგალითად, ხელისუფლებისა და მმარ- ველობის ხარჯები საერთო საბიუჯეტო ხარჯში ასეთი ცვლი- ების შედეგად 4,8 პროცენტიდან 15 პროცენტამდე გაიზარდა. როგორც ცნობილია, ხარჯის სტრუქტურა გარკვეულ ეკო- ომიკურ პოლიტიკას ასახავს. პარლამენტის მიერ განსაზღვრუ- ი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც ბი- ჯეტის კანონში აისახა, პარლამენტის თანხმობის გარეშე არ ნდა შეცვლილიყო, განაცხადა პარლამენტის კომიტეტის თავმჯ- ომარემ.

როგორც მთავრობის ანგარიშიდან და კონტროლის პალატის ოხსენებიდან ირკვევა, — თქვა ზაზა სიორიძემ, — საბიუჯეტო ახსრების უკანონო, მათ შორის არამიზნობრივ, ზეგეგმურ არჯვას ახდენდა აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულე- ის ხელმძღვანელი ორგანოების ჩათვლით, თუმცა, საპარლა- ენტო კომიტეტს მიაჩნია, რომ, მიუხედავად ბიუჯეტის შეუს- რულებლობისა, მთავრობის წარმოდგენილი ანგარიში 1995 ლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მაინც რეალურად ას- ახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, მისი განვითა- რების ტენდენციებს და ამდენად, პარლამენტმა ის უნდა დაამტ- კიცოს.

კამათი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაგრძელდება 19 აპრილს.

საღამოს სხდომაზე უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განიხილა აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები.

საქინფორმი.

რონიკა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით:

მირიან მურჯიკნელი დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინი- ტრის პირველ მოადგილედ.

ამირ ჯულელი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო ქონების რთვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს კანონი

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის, ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მომსახურების, შეკეთებისა და ექსპლუატაციის და ამ საშუალებებით ნავთობის იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ექსპორტის სამართლებრივი პრინციპების შესახებ

საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ და პირველი მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულმა თითოეულმა ნავთობკომპანიამ დადო (ქვემოთ განსაზღვრული) პროექტთან დაკავშირებული რამდენიმე ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მომსახურების, შეკეთებისა და ექსპლუატაციის შესახებ და ამ საშუალებებით საქართველოს ტერიტორიაზე, ტერიტორიის გავლით და ტერიტორიიდან ნავთობის მიღების, მიწოდების, იმპორტის, გადაქაჩვის, შენახვის, მართვის, გასაღების, გაყიდვისა და ექსპორტირების შესახებ (შემდგომში „პროექტი“).

პროექტი ითვალისწინებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ყველა იმ საჭირო მოქმედების შესრულებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ამ კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულება და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში: „პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებები“) შევიდეს კანონიერ ძალაში.

საქართველოს კონსტიტუციის 65.2 (ე) მუხლის შესაბამისად აუცილებელია ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში.

აქედან გამომდინარე:

მუხლი 1

1. რატიფიცირებულ იქნეს საქართველოს მთავრობისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის 1996 წლის 8 მარტის ხელშეკრულება („სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება“) „ზოგიერთი არსებული მილსადენი საშუალებების სრულყოფისა და განახლების, ახალი მილსადენი საშუალებების შექმნისა და ამ საშუალებებით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს 1996 წლის 8 მარტის ხელშეკრულება („ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულება“), რომელიც დადებულია, ერთის მხრივ, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და, მეორეს მხრივ, ამოკო კასპიან სიი პეტროლიუმ ლიმითედს; ბპ ექსპლორეიშენ (კასპიან სიი) ლიმითედს; დელტა ნიმირ ჰაზარ ლიმითედს; დენ ნორსკე შტატს ოლჯესელს კაპ ა.ს.-ს; ექსონ აზერბაიჯან ლიმითედს; სააქციო საზოგადოება ლუკოილის; მაკდერმოტ აზერბაიჯან ინკ.-ს; პენზოილ კასპიან კორპორეიშენს; რამკო ჰაზარ ენერჯი ლიმითედს; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას; თურქი პეტროლერი ა.ო.-სა და უნოკალ ჰაზარ ლტდ.-ს და მათი წარმომადგენლების, სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამოსილი პირების ჩათვლით („ნავთობკომპანიები“) შორის და მიეცეს კანონის ტოლფასი ძალა.

3. მიღებულ იქნეს 1996 წლის 8 მარტის ხელშეკრულება („მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულება“), რომელიც დადებულია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასა და ნავთობკომპანიებს შორის და მიეცეს კანონის ტოლფასი ძალა.

მუხლი 2

1. თუ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების ან მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების დებულებები ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მაშინ უპირატესობა ენიჭებათ საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

2. თუ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების ან მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების დებულებები ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება ამ კანონის მიღებისას მოქმედი საქართველოს კანონების, დადგენილებების, აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანებებისა და ბრძანებულებების ან სხვა საკანონმდებლო აქტების დებულებებს, მაშინ უპირატესობა ენიჭებათ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების ან მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების დებულებებს.

3. ვერც ერთი კანონი, დადგენილება, აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანება და ბრძანებულება, სხვა საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიღებულია ან დაიდო ამ კანონის ძალაში შესვლის თარიღის შემდგომ, ვერ შეცვლის ან ვერ გააუქმებს ამ კანონს ან პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ნებისმიერ სხვა დებულებას, თუ შესაბამისი კანონი, დადგენილება, აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანება და ბრძანებულება, სხვა საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება არ შეიცავს ამის შესახებ ზუსტად განსაზღვრულ მითითებას.

4. პროექტთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს უნდა მიეცეთ კანონის ძალა, რისთვისაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

მუხლი 3

1. ყველა სამინისტრო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა ორგანო, სახელმწიფო საწარმო და იურიდიული პირი, რომლის საწესდებო კაპიტალის მეტი წილი ეკუთვნის სახელმწიფოს, და რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანო, თუ პროექტთან და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულებისა და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობის ზედამხედველობა ან კონტროლი განეკუთვნება ამ ორგანოთა კომპეტენციას, ვალდებულნი არიან დაიცვან ზემოხსენებული პროექტისა და ხელშეკრულებების დებულებებით გათვალისწინებული პირობები.

2. ყველა სამინისტრომ და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა ორგანომ, სახელმწიფო საწარმომ და იურიდიულმა პირმა, რომლის საწესდებო კაპიტალის მეტი წილი ეკუთვნის სახელმწიფოს, და რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანომ საქართველოში მოქმედი კანონებისა და მარეგულირებელი აქტების თანახმად და მათ შესაბამისად, ნავთობკომპანიებს და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულებით განსაზღვრულ საოპერაციო კომპანიას უნდა მისცეს ის ლიცენზია, ნებართვა, საბაჟო პრივილეგიების სერთიფიკატი, ვიზა და სხვა უფლებამოსილებანი, ნებართვისა და სხვა მოწმობები, რათა მათ ისარგებლონ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულებითა და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებით მათთვის გადაცემული ან მინიჭებული უფლებებით, უფლებამოსილებებით, პრივილეგიებით, სარგებლით და ვალდებულებებისაგან გათავისუფლებით.

მუხლი 4

კანონის ეს მუხლი აზუსტებს ზოგიერთ საკითხს:

ა. სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მთელი პერსონალის, ყველა სატრანსპორტო საშუალების, მოწყობილობისა და სხვა ქონების საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის და გასვლის შეუზღუდავი უფლების რეალიზაციისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო და საიმიგრაციო კანონმდებლობის ყველა პროცედურა.

ბ. ნავთობკომპანიის მიერ თავისი უფლებების, ვალდებულებებისაგან გათავისუფლებისა და სარგებლის მიღების უფლებათა ყველანაირი გადაცემა, რაც გათვალისწინებულია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულებით, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ მიმღებმა უნდა იკისროს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი მოვალეობები.

გ. ის ცვლილებები, რაც ამ კანონის მიღების შემდეგ უნდა შევიდეს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასა და საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში, იმ მხრივ, რომ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების დებულებები შეესაბამებოდეს ზემოხსენებულ კანონებს, ძალაშია „საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მომსახურების, შეკეთებისა და ექსპლუატაციის და ამ საშუალებებით ნავთობის იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ექსპორტის სამართლებრივი პრინციპების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

მუხლი 5

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 2 აპრილი.

სპეცსამსახურები

ნიშანში ამოღებული სიცოცხლე

ბონდო მძინარაშვილი

წუთშესვენება ყავის თანხლებით და... კვლავ ტერორისტები

პოლკოვნიკ ილია ნარიმანიძესთან საუბარს დროე- თ ვწყვეტ — წუთშესვენებას ვაცხადებთ. ბატონმა ლიამაც შვებით ამოისუნთქა, გაიღიმა და რამდენი მა- [illegible], დამღლელო, მეუბნება. რამდენიმე წუთს ასამსახურებრივ თემებზე ვსაუბრობთ და ყავით ვიქცევთ თავს.

მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება. ვუბრუნდებით სამუშაო რეჟიმს.

— მოდით, ცოტა უფრო ადრე მომხდარ ტერაქტ- —სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაზე ვისაუბროთ. მოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მის პანაშვიდზე მი- ულ სახელმწიფოს მეთაურს ლიფტში უპირებდნენ ფეთქებას. სახელმწიფოს მეთაური შემთხვევით გა- ურჩა, რადგან კიბით ისარგებლა, თუ გქონდათ ინ- ორმაცია, წინასწარი ოპერატიული მონაცემები და ხერხდა საშიშროების უვნებელყოფა?

— **მაშინაც ღმერთმა გადაარჩინა.**

— ესე იგი, ღვთის მფარველობა რომ არა, რეა- ური საფრთხე არსებობდა, რომ მაშინ ვერ გადარ- ჩენილიყო? ლიფტი ამ შემთხვევაში ნამდვილი ხაფან- იქნებოდა...

— **რა თქმა უნდა. აქაც ჩვენი გარკვეული და საკ- ოდ სერიოზული შეცდომა იყო. მე გამოძიების მასა- ებს არ ვიცნობ, მაგრამ უფლება არა მაქვს არ ვე- დო, რასაც გამომძიებლები ამბობენ. დიდი შეცდო- გვაქვს დაშვებული სწორედ ოპერატიული თვალ- სახრისით. ოღონდ საქმე ის არის, რომ გამოსვენებზე რის იქ სწორედ ის ხალხი — „ალფა“ და „ომეგა“ ტრიალებდა. გადაკეტილი ჰქონდათ მისასვლელები. როგორც დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვა- ლდებული ვარ არავინ—ვინც უნდა იყოს, უშიშროება თუ პოლიცია—გავაჭაჭანო იმ ტერიტორიაზე, სადაც საცავი პირი მიდის. მაგრამ, როგორ ავუკრძალავ ავე უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმს, რომ ადაც მესამე ეშელონში — 100 მეტრის მოშორებით ყოს? ეს მათ მიმართ დაუფარავი უნდობლობა იქნე- და ამ უნდობლობამ შეიძლება უარესი დაგვმარ- ოს. მით უმეტეს, ვერ წარმოვიდგენდით, რომ ისინი ერაქტში იქნებოდნენ ჩართული. შემდეგ კი, როცა ხსიერებაში აღვიდგინეთ, ვინ იყო იქ და რა პოზი- ები ჰქონდათ დაკავებული, შეიძლებოდა ასეთი სკვნის გაკეთება: სპეციალურად ჰქონდათ შერჩე- ლი ისეთი ადგილები, რომ ტერაქტის განხორციე- ების შემთხვევაში, შესძლებოდათ ყველაფრის ბლო- ირება. ეს მომენტიც იყო.**

— ცნობილია, რომ ტერორისტები რამდენიმე სა- ეობად იყოფიან. არიან კილერები და არიან ე. წ. მიკაძეები. ამ მეორე შემთხვევაში ვის ეკისრება ეტი პასუხისმგებლობა? პირადი დაცვა ხომ ვალდე- ულია აფეთქების მცდელობას პირველი გადაეღო- ოს და დასაცავი პირი გადაარჩინოს?

— **როცა პროფილაქტიკურ მუშაობას ვატარებთ , თუ იმ ობიექტზე და ამა თუ იმ ღონისძიების როს, დაცვის თვალსაზრისით იქ ყველა ფაქტორს ითვალისწინებთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, ტე- აქტი სნაიპერმა შეიძლება ჩაატაროს თუ ასაფეთ- ებელ ნივთიერებას დაამონტაჟებენ, ვიღაც კამიკაძე ქნება ჩასაფრებული თუ საწამლავი შეიძლება გა- იყენონ... ჩვენ დეგუსტაციასაც ვახდენთ.**

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვეთქვათ?

— **გვყავს ექიმი-სპეციალისტები, რომლებიც ჩვენი ელმძღვანელობით ილებენ ღონისძიებებს, რათა სუ- რაზე არ მოხვდეს მალფუჭადი პროდუქტი, რომელ- ც შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. შეიძლება სამ- არეულოში შემოწმდეს, შეიძლება ადგილზე, მაგრამ, აც მთავარია — უნდა შემოწმდეს. ზოგჯერ სუფრი- ან ვიღებთ ისეთ პროდუქტს, რომელშიც ეჭვი არ გვპარება, რომ სპეციალურად არის დადებული, მა- რამ რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა. ველა იმ პიროვნებას, რომელსაც შეიძლება უშუალო თუნდაც შუალობითი ურთიერთობა ჰქონდეს და- საცავ პირთან, ამოწმებს ოპერატიული სამმართველო — ეს იქნება მომსახურე პერსონალი თუ სხვა ვინმე. ჩვეულებრივი და სრულიად ბუნებრივია. გარდა ამისა, ჩვენი ფუნქცია მხოლოდ ფიზიკური დაცვა არ არის. ჩვენი ვალდებულებაა საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა, რომ პრეზიდენტის წრიდან არ გა- [illegible] რაიმე ინფორმაცია. ასე რომ, დაცვა ეს არის დაცვითი ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ დაცვას არ გულისხმობს. აქ უამრავი ნიუანსი არსებობს.**

იპოვეთ თქვენი ადგილი

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ დაცვის სამსახურის საქმიანობაზე, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ესწრება რომელიმე ღონისძიებას დედაქალაქსა თუ რეგიონებში, ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ისიც აღვნიშნეთ, რომ ამ დროს გაორკეცებული ყურადღებით, მთელი ძალების მობილიზებით უწევთ მუშაობა. ამ დროს კი პრეზიდენტის გვერდით არიან ისეთი პირები, რომლებსაც პროტოკოლით იქ ყოფნა არ ეკუთვნით და დაცვის ყურადღებას კი ადუნებენ, ქმნიან ზედმეტი დაძაბულობის საბაბს.

სხვათა შორის, ჩვენში მინისტრი ან რომელიმე მაღალი რანგის პიროვნების დაცვის მუშაკი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს, როდესაც მას ამოწმებენ. ჯერაც არ ჩამოყალიბებულა პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინის გრძნობა. ეს არც არის გასაკვირი — დაცვის ინსტიტუტი ორი წელია, რაც არსებობს. საზღვარგარეთ არის ქვეყნები, სადაც ასწლეულობით ყალიბდებოდა დაცვის ინსტიტუტი და უკვე მთელი სისტემაა შექმნილი, მეცნიერულ დონეზეა ყველაფერი. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტთან არავის მიუშვებენ — ეს, ელემენტარულად, ყველამ იცის და არც პრეზიდენტის პირად დაცვას ექმნება ზედმეტი პრობლემები.

ჩემს მოსაზრებებს ვუზიარებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელებს.

— პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრებზე ხშირად შემიმჩნევია საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც დაცვის თანამშრომლებს აშკარად უხერხულობას უქმნიდნენ თავიანთი იქ ყოფნით...

— **ჩვენ, ჭირჭერობით, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ეტიკეტს, პროტოკოლს საერთოდ არ ექცევა ყურადღება, — ამბობს ბატონი ვახტანგ ქუთათელაძე. — ვფიქრობ, მოკლე ხანში მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რომლის მიხედვითაც შეგვეძლება რაღაც მნიშვნელოვან ძვრებს მივაღწიოთ ამ მიმართულებით. კერძოდ, ეს ეხება აეროპორტის გასასვლელს, სადაც ზოგი რამ გვინდა მოვაწესრიგოთ. საოცარია, როცა პრეზიდენტი მიემგზავრება ან ჩამოდის, აეროპორტში ყველას შეიძლება წააწყდეთ. თანამდებობის პირებს ვგულისხმობ, რომლებსაც არ ეკუთვნით მოსვლა. ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან შეიძლება ვინმე გამომრჩეს კიდეც. იქ ყველაა — ვისაც ეკუთვნის და ვისაც არ ეკუთვნის. ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პროტოკოლით უნდა განისაზღვროს. პრეზიდენტი ქვეყნის სიმბოლოა და მის გაცილებას, დახვედრას თუ მასთან ურთიერთობას თავისი ეტიკეტი და ნორმა აქვს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი დასალაგებელია ეს სიტუაცია. ასეთი უხერხულობა ძალიან ხშირია, როცა სადმე ჩავდივართ. მაგრამ ბევრ მათგანზე არაფერი მოქმედებს, ფიზიკური ჩარევის გარდა: ეს ცოტა უხერხულია სათქმელად, მაგრამ ხანდახან პირადი დაცვის თანამშრომლები იძულებული ხდებიან, ამ ხერხს მიმართონ. არ მინდა რაღაც სტატისტიკა მოვიშველიო, მაგრამ ტერაქტები უფრო ხშირად იმ დროს ხდება, როცა დაცვის თანამშრომლების ყურადღება იფანტება გარეშე ხალხზე — ჟურნალისტებზე, დელეგაციის წევრებზე. ეს ძალიან მოქმედებს, ძალიან დამღლელია დაცვის თანამშრომლებისათვის. ნებისმიერი ზედმეტი პიროვნება ყურადღების ზედმეტი დაძაბვაა. პირად დაცვას გარკვეული დავალება აქვს, გარკვეული ზონა აქვს ჩაბარებული. ის იმაზე აგებს პასუხს და ყოველი ახალი პიროვნების ან [illegible] ფაქტორის გამოჩენა ყურადღებას უდუნებს, იმ მთავარი ობიექტისგან „ხსნის“, ვისზეც არის მიმაგრებული.**

— სამწუხაროდ, კანონისა და კანონიერებისადმი ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ ადამიანს, როცა დეპუტატი გახდება ან თანამდებობას დაიკავებს, ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს...

— **სამწუხაროდ, ასეა.—ამატებს ილია ნარიმანიძე. მაგრამ ხალხიც ნელ-ნელა ეჩვევა ამ წესრიგს. ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, უნდა იცოდეს, სად შეიძლება შევიდეს და სად არ შეიძლება მისი შესვლა, ვისთან მივიდეს და ვისთან — არა. ჩვენ ვახერხებთ ხალხისა და სიტუაციის „ჩარჩოებში“ მოთავსებას.**

პროფესიონალიზმის საზღაური

— **სახელმწიფო** დაცვის სამსახურში მუშაობისას მოვალე ხარ საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურო. თუ ხდება ამ დაძაბული მუშაობის კომპენსაცია (სიცოცხლეს არ ვგულისხმობ) მატერიალურად?

— **მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ.** — მეუბნება ბატონი **ვახტანგ ქუთათელაძე.**—**ვერანაირი ანაზღაურება ვერ შეცვლის და ვერანაირი ანაზღაურებით ვერ აიძულებ ადამიანს, თავი გადადოს, ვთქვათ, ვიღაცის სიცოცხლის დასაცავად. ეს წარმოუდგენელია. მე არ მეგულება ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს შეწირავს რაღაც თანხისათვის. მაგრამ, თუ ლაპარაკია პროფესიონალიზმზე და საქმისადმი მიდგომაზე, პროფესიონალიზმი კარგ ანაზღაურებას მოითხოვს, ამ შემთხვევაში ლაპარაკია პრო-ფე-სი-ო-ნა-ლი-ზმ-ზე.**

სხვათა შორის, პირადი დაცვის თანამშრომლებს, რომლებიც ინსტრუქტორებთან ემზადებოდნენ, ახსოვთ მათი გამონათქვამი: პროფესიონალიზმი ის არის, რომ, როცა ადამიანს იცავ, არ ფიქრობ იმაზე, მოგწონს თუ არა ის. აქ განმსაზღვრელია ორი რამ: ის პიროვნება ხალხმა აირჩია, შენ კი — სამსახურმა, რათა ის პიროვნება დაიცვა. შენი პროფესიული მოვალეობაა მისი სიცოცხლე დაიცვა იმის მიუხედავად, მოგწონს თუ არა ეს პიროვნება. შენ ამ შემთხვევაში ასრულებ უფრო დიდ მისიას, ვიდრე შენი პირადი დამოკიდებულებაა დასაცავ პიროვნებასთან. ამ შემთხვევაში პროფესიონალიზმი უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ანაზღაურება. შემდეგ მოდის მეორე საკითხი: რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი და პროფესიონალი თავისთავად იმსახურებს ანაზღაურებას. აქ უკვე ისიც გასათვალისწინებელია, რამდენად შეუძლია ქვეყანას ამის უზრუნველყოფა. ეს მოთხოვნები რაღაც ჩარჩოში უნდა ჯდებოდეს და შესაძლებლობებს უპასუხებდეს.

— თქვენ ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეებს იცავთ, ხელისუფლება რამდენად გიცავთ სოციალურად?

სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის სოციალურ დაცვას. ზარალი, რომელიც მიადგა თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სრულად ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დასახიჩრების ან დაინვალიდების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა კომპენსაცია ერთიდან ხუთ წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით, ხოლო დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთჯერად დახმარებას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

სახელმწიფო ზრუნავს თანამშრომლის ბინით უზრუნველყოფაზე, დაღუპული (გარდაცვლილი) თანამშრომლის ოჯახს კი უნარჩუნდება ბინის მიღების უფლება ამ საფუძველზე და პირობებით, რაც მან დაღუპვამდე (გარდაცვალებამდე) ჰქონდა. თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებით. სამსახურის თანამშრომელი უფასოდ სარგებლობს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის ყველა სახის ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

— **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვა კანონით არის განსაზღვრული. ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვიცავთ კონკრეტულად მარტო ხელისუფლებას. თუკი დაცვის თანამშრომელი იცავს რომელიმე მოღვაწეს, ის მარტო მას არ იცავს — ის იცავს ხალხს, ქვეყანას, იმიტომ, რომ ხალხმა იმ პიროვნებას ანდო რაღაც გარკვეული საქმე და ეს პიროვნება ამ საქმის გაკეთების გარანტს წარმოადგენს. ამიტომ, დაცვის სამსახური არ უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს ცალკეულ პიროვნებას იცავდეს. ის იცავს ხალხის ინტერესებს, რომელიც ამ შემთხვევაში ფოკუსირებულია ერთ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე. რაც შეეხება ანაზღაურებას, გულახდილად გეტყვით, მიჭირს დავასახელო პიროვნება, რომელიც კმაყოფილია თავისი ხელფასით. პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, სადაც ნათლად არის განსაზღვრული თანამშრომლის სოციალური დაცვის გარანტიები.**

— თქვენი სამსახური იმდენად პასუხსაგები და სპეციფიკურია, რომ თანამშრომელი ოჯახის გამოკვების პრობლემით არ უნდა იყოს დაკავებული, უფრო მეტად პროფესიულ დახვეწაზე უნდა ზრუნავდეს.

— **რა თქმა უნდა, სპეციფიკურია, მაგრამ ჩვენი ანაზღაურება არ არის რაღაც განსაკუთრებული. ვღებულობთ ისეთ ანაზღაურებას, როგორსაც ღებულობენ შსს-ს ან უშიშროების თანამშრომლები. აქ ერთი და იგივე ტარიფებია დადგენილი. თავისთავად, ეს არ არის საკმარისი. გარდა იმისა, რომ აქ დიდია პასუხისმგებლობა, ფიზიკური დატვირთვა, ამავე დროს თანამშრომელი ხშირად სტრესს განიცდის, რაც ძალიან ძნელი გადასატანია. იმის მიუხედავად, რომ პირადი დაცვის თანამშრომლები გარკვეული პერიოდულობით მუშაობენ, ეს, დამიჯერეთ, ძალიან მძიმე კვალს სტოვებს მათ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე. დაძაბულობა ძალიან ძნელად მოსახსნელია. მიჭირს კიდეც ვთქვა, რამდენი უნდა გადაუხადო ამ შემთხვევაში თანამშრომელს, რომ მოხდეს გარკვეული კომპენსირება. ზოგიერთ ქვეყანაში დიდია ანაზღაურება, ზოგან მცირე, მაგრამ ვერსად ვერ მოძებნით იმის შესაბამისობას, თუ რამდენი უნდა გაიღოს ადამიანმა, რათა გარანტირებულად იყოს დაცული. ჩვენთან, რა თქმა უნდა, ძალზე დაბალი ანაზღაურებაა, მაგრამ ცხოვრების დონის ამაღლება თავისთავად მოიტანს პროფესიონალიზმის დაფასებას. სხვათა შორის, ერთხელ ტელეინტერვიუშიც ვთქვი, რომ მოსკოვში ბანკის პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელი თვეში ღებულობს 1500-2000 დოლარს. დანარჩენი თავად განსაჯეთ.**

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ სამსახურის თანამშრომელთა სოციალურ მდგომარეობაზე, მათ სამუშაო პირობებზე და ამ საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყველაზე მთავარი პრობლემა მაინც მატერიალური ბაზის უქონლობა. კანონით სამსახურს უფლება აქვს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, დადოს პირთა და ობიექტთა დაცვის ხელშეკრულება. მაგრამ საერთოდ პრაქტიკაში არა აქვთ, რომ ადგილობრივი ბიზნესმენები დაიცვან. სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთი მოთხოვნა არც ყოფილა. ძირითადი მოთხოვნები უცხოელი ბიზნესმენებისაგან იყო. ფაქტობრივად, ბევრი პროექტის ბედი მათ უსაფრთხოებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ქვეყნის პრეზიდენტიც დაცვის სამსახურის წინაშე თავისთავად აყენებდა ამ ამოცანას, როგორც კერძო ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობას, საქართველოში მომუშავე უცხოელი ბიზნესმენებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველყოფას. ასეთი დავალებები ხშირად შეუსრულებიათ კიდეც.

სამსახური უკვე წელიწადნახევარია შეიქმნა და უკვე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა — გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — მთლიანად სამსახურის მუშაობის შედეგად და იმ თანადგომით, რასაც ზოგიერთი ორგანოს ხელმძღვანელები იჩენენ. თუმცა, ასეთები ბევრნი არ არიან. რატომღაც, დაცვა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ფათერაკი ხდება, — გულისტკივილით დასძინა ბოლოს გენერალმა ქუთათელაძემ. მაგრამ მარტო ჩვენთან ხომ არ არის ასე. ამიტომ სერიოზული თანადგომითა და მხარდაჭერით უნდა შეიქმნას დაცვის ერთიანი, მთლიანი სისტემა, რომელიც, როცა აეწყობა, ვფიქრობ, სწორედ ისეთი იქნება, რაც ჩვენ მოგვწონს სხვა ქვეყანაში. ამას დიდი მხარდაჭერა, გარკვეული მატერიალური დანახარჯები სჭირდება. როდესაც დაცვის სამსახური მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება, მეტი ყურადღება დაეთმობა პიროვნების წახალისების ფაქტორს და ყველაფერ იმას, რაც თანამდევია და აუცილებელია გაკეთდეს თანამშრომლისათვის. ამის ნაცვლად კი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები იხარჯება მანქანის, ტექნიკის, იარაღის შეძენაზე. ალბათ, გინახავთ, მცირეხელფასიანი დაცვა, მაგრამ უიარაღო დაცვა გაგიგიათ? ამიტომ დაცვის სამსახურის ეს პრობლემები სასწრაფოდ გადასაწყვეტია. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მაღალპროფესიული კადრებით არის დაკომპლექტებული. თუ მატერიალური ბაზა გამაგრდება, ეს დიდად წაადგება ახალი კადრების მოზიდვას და მომზადებას, მათ გადამზადებას და კონდიციამდე მიყვანას.

* * *

შევეცადე შეძლებისდაგვარად გამეცნო მკითხველისათვის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაობის სირთულეები, სამსახურის ხელმძღვანელებთან გვესაუბრა იმ სპეციფიკურ ღონისძიებებზე (დასაშვებ ფარგლებში), რასაც სპეცსამსახური ატარებს თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე. ბევრი რამ კადრს მიღმა დარჩა, რას იზამ, ყველაფერს ვერ ვიტყვით, არც ყველაფრის დაწერა შეიძლება. სპეცსამსახურს თავისი პროფესიული საიდუმლოებები აქვს და ყველაფრის სამზეოზე გამოტანა ზიანს უფრო მოგვიტანს, ვიდრე სარგებელს. შევეცადე, სხვადასხვა კუთხით მეჩვენებინა სამსახურის სახე, რათა დარწმუნებულიყავით, რომ აქ რაღაც დიდი საიდუმლოება არ იმალება. ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ჩვეულებრივი ყოველდღიური პრობლემები და საზრუნავი აქვთ, აკეთებენ ჩვენთვის არაჩვეულებრივ საქმეს — საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ ჩვენს არჩევანს, იცავენ მრწამსით და უღალატოდ, იცავენ ხალისითა და სიამაყის გრძნობით. მოკლედ, აკეთებენ იმ საქმეს, რაც, ალბათ, მათი მოწოდებაა და აკეთებენ, — გადაუჭარბებლად ვიტყვი, — მაღალპროფესიულ დონეზე.

თბილისი. 1995 წლის 5 ნოემბერი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 70, 71.

ინფორმაცია

საარბიტრაჟო სასამართლო მოქმედებს

ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ზოგჯერ გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები მოკლებულია იურიდიულ ძალას იმ მიზეზით, რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ საერთო კომპეტენციის სასამართლოები.

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლის თანახმად გარდამავალ პერიოდში სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა. ამრიგად, თავის ფუნქციონირებას განაგრძობენ საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანოებიც, რომლებიც იხილავენ დავებს იურიდიულ პირებს შორის მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად. საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანოების უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შეგეწიოთ ღმერთი

მართლმადიდებელი სამყარო აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის კვირას დღესასწაულობს. საქართველოს საპატრიარქო ამ მოვლენას სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს. 16 აპრილს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე მთავრობის სახლის წინ არქიმანდრიტმა სოგრატმა გადაიხადა პარაკლისი, მოსახლეობას დაურიგდა სანთლები და წიგნები.

17 აპრილს ბრწყინვალე ოთხშაბათს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გაიხსნა სამლოცველო ოთახი, სადაც პარაკლისი გადაიხადა სვანეთისა და ცაგერის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა. სტუდენტებს ეყოლებათ საკუთარი მოძღვარი.

საპატრიარქოს პრესცენტრი.

ტაძარი ხულოში

ხულოს რაიონში ტაძარი აიგო. იგი აშენდა ორგანიზაციებისა და კერძო პირების შემოწირულობათა ხარჯზე. პროექტის ავტორია არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი. მშენებლობაში ქმედითი დახმარება გაუწიეს რუსთავისა და კასპის ცემენტის, მცხეთის აგურისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებმა.

თამაზ ბენქიბაძე,
საქინფორმის კორ.

ნაპოლეონ ქარქაშაძის აღიარება

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე არჩეულია იუნესკოს მეცნიერების, მრეწველობის, განათლებისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის (აშშ, კალიფორნია) ნამდვილ წევრად.

ორი ყაჩაღი და ერთი მწყემსი

17 აპრილს 23 საათზე ორი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა დედოფლისწყაროს რაიონში ტარიბანას ველზე განლაგებულ მეცხოველეობის ფერმას.

თავდამსხმელებმა ავტომატით მუცლის არეში დაჭრეს მწყემსი, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრები შალვა გარდიაშვილი.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის დედოფლისწყაროს განყოფილება.

საქინფორმი.

სარედაქციო ფოსტიდან

რატომ არ უნდა გვყავდნენ აკადემიკოსი იურისტები?

სამართალი ადამიანთა შემოქმედების, საზოგადოებრივი ცნობიერების უძლიერესი საყურადღებო დარგია. ასე იყო ყოველთვის საქართველოშიც.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, მთელი ჩვენი ისტორია შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, რომ თვალნათლივ დავინახოთ „ინტენსიური მუშაობა და დიდი შემოქმედება, რომელიც ქართველ ერს სამართლის სფეროში გამოუჩენია თავისი სახელმწიფოსი და სოციალური წეს-წყობილების დასაწინაურებლად“.

არასოდეს, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დროსაც კი არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს სწრაფვა და ფიქრი ეროვნული იურიდიული აზროვნების განვითარებისათვის და ამას იგი ყოველთვის მაღალ დონეზე აკეთებდა. ქართველი ახალგაზრდების მუდმივი ლტოლვა სამართლის დარგისადმი ამისი ერთ-ერთი დიდად ხელშემწყობი გარემოება იყო, რამაც თანდათან სულ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში, მიუხედავად უდიდესი დაბრკოლებების, შეზღუდვებისა და სასტიკი რეპრესიებისა, რაც იურიდიული მეცნიერების მოწინავე წარმომადგენლებსაც შეეხო, სწავლულ იურისტთა შემოქმედებითი მოღვაწეობა აღიარებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის იურიდიული საზოგადოების მიერ. მხედველობაში მყავს პროფესორები ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, თინათინ წერეთელი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, ზოზო ნანეიშვილი და ივანე სურგულაძე, ხოლო მომდევნო თაობიდან — გივი ქვანია და თამაზ შავგულიძე, ამჟამად მოღვაწე სერგო ჯორბენაძე, ლევან ალექსიძე და სხვები.

დღეს სამართლის მეცნიერება საქართველოში, განსაკუთრებით — დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, განვითარების საერთაშორისო დონეზე იმყოფება. ამას ნათლად ადასტურებს ქართველ იურისტთა მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები და მათი კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის შთამბეჭდავი შედეგები, რასაც მაღალი შეფასება მიეცა არა მარტო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობის, არამედ საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან.

ბუნებრივია, რომ ამ დარგის როლისა და დონის მდგომარეობა შესაბამის წარმომადგენლობას უნდა განსაზღვრავდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. სამწუხაროდ, ეს წარმომადგენლობა აშკარად მიზერულია და სავსებით არ ასახავს რეალურ თანაფარდობას სხვა დარგების სპეციალისტებთან შედარებით. ეროვნული აკადემიის საკმაოდ მომრავლებულ ნამდვილ წევრთა შორის არ არის არც ერთი იურისტი, ხოლო წევრ-კორესპონდენტებად ჯერ კიდევ 1988 წელს, ე. ი. 8 წლის წინათ, არჩეული ორი იურისტი — ლევან ალექსიძე და სერგო ჯორბენაძე დღესაც წევრ-კორესპონდენტებად რჩებიან.

ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე მოხდა აკადემიის წევრთა შევსება და არც ერთხელ არ გამოცხადებულა ვაკანსია იურიდიულ მეცნიერებათა დარგში აკადემიკოსის ადგილზე. ეს მაშინ, როდესაც, სრული ობიექტურობით შეიძლება ითქვას, დასახელებულმა ორივე მეცნიერმა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების იურიდიული საზოგადოებრიობის აღიარება მოიპოვეს. აღარაფერს ვამბობ იმ ავტორიტეტზე, რომელიც ამ მეცნიერებმა დაიმსახურეს ჩვენს ქვეყანაში, და არა მარტო იურისტებს შორის.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს იურისტთა მთელი კორპორაციის სახელით გამოვხატავ (და ამას ხელისმოწერებით დადასტურება არ სჭირდება) თხოვნას აკადემიის ხელმძღვანელობისადმი: დღევანდელ პირობებში სამართალმცოდნეობას — პრესტიჟულ და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის დარგს — ადეკვატური წარმომადგენლობა დაუწესდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლი — დაუყოვნებლივ გამოიყოს იურიდიულ მეცნიერებათა დარგში აკადემიის ნამდვილ წევრებად ასარჩევად ორი ვაკანსია და გამოცხადდეს შესაბამისი არჩევნები, ალბათ, კონკურსის დადგენილი წესით, რათა შესაძლებელი გახდეს საყოველთაოდ აღიარებულ გამოჩენილ მეცნიერთა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი კათედრების გამგეთა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების სერგო ჯორბენაძისა და ლევან ალექსიძის არჩევა აკადემიის ნამდვილ წევრებად.

დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად მათ არავინ შეეცილება და რეალურად ვერც შეეცილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდების მიღებაში.

გივი ინწკირველი,
პროფესორი, უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

თაობა

„ჯეჯილი“ 73 წლის შემდეგ

„ჯეჯილი“ — ასე ერქვა 1890-1923 წლებში ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის რედაქტორობით გამომავალ განათლების სახკომიტეტის სოციალურად აღზრდის მთავარმმართველობის ორგანოს — საყმაწვილო ილუსტრირებულ ჟურნალს, რომელშიც თანამშრომლობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი და სხვები.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ილვწოდა ბავშვთა მრავალმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, აღვივებდა მათში სამშობლოს ღრმა და უანგარო სიყვარულს, სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის, პატიოსნების, გულადობის სულისკვეთებას. უმთავრესი ნაწილი ეჭირა მხატვრულ ნიმუშებს, დიდი როლი ენიჭებოდა განათლებას. ჟურნალმა დიდად შეუწყო ხელი მოზარდი თაობის გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდას, ქართული საბავშვო ლიტერატურის წინსვლას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კი ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება „აშრიალის“ ახალგაზრდულმა გამომცემლობამ სიძველისადმი პატივისცემის ნიშნად აღადგინა მივიწყებას მიცემული საყმაწვილო ჟურნალი და მისი რიგით 367-ე ნომერი გამოსცა.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია მანუჩარ კაჭახიძე, რედაქტორი — ნათია კუპრაშვილი, გამომცემელი — ქეთევან გურეშიძე. რაოდენ სიმბოლურია, რომ მოსწავლეთა საკითხავ ჟურნალს თვითონ მოსწავლეები უშვებენ. რედაქციაში მთლიანად ენთუზიასტები მუშაობენ, რომლებიც ყოველგვარი წუწუნის გარეშე შეჭიდებიან ამ ძნელ საქმეს.

ახალ ნომერში დაბეჭდილია განათლების მინისტრის მილოცვა, ფართო ადგილი აქვს დათმობილი საბუნებისმეტყველო, ისტორიულ, მოზარდთა, გასართობ განყოფილებებს, დაბეჭდილი არის მოთხრობები, რომლებშიც მისაბაძი პერსონაჟები სჭარბობენ, ნაწყვეტები დეილ კარნეგის ნაშრომიდან ადამიანთა ურთიერთობის შესახებ.

გარდა ჟურნალისა, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებამ გამოსცა გაზეთები „სიყვარული და მონატრება“, „ახალგაზრდა ქუთაისელი“ და „აშრიალი“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულმხურვალედ ულოცავს ჟურნალ „ჯეჯილის“ კოლექტივს პირველი ნომრის გამოსვლას და გაზეთ „აშრიალის“ რედაქციას პირველი ნომრის გამოსვლიდან 3 წლისთავს, უსურვებს ბოლომდე შერჩენოდეთ ენთუზიაზმი, პატიოსნება და საქმის კეთების სურვილი.

ამინდი

19 აპრილს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ზოგან წვიმა, მაღალმთიან რაიონებში თოვლი, იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 6-11, დღისით 13-18, მთაში — ღამით 3-8, დღისით 11-16, მაღალმთიან რაიონებში — ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მაღალმთიან რაიონებში თოვლი, კობი-გუდაურის მონაკვეთზე ზვავსაშიშროება შენარჩუნებული იქნება 11 საათიდან 17 საათამდე. იქროლებს წამში 8-13, დღისით 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში ღამით 5-10, დღისით 11-16, მთაში — ღამით 2-7, დღისით 8-13, მაღალმთაში ღამით — 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 5-9 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, ღამით წვიმა, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ღამით 8-10, დღისით 14-16 გრადუსი სითბო.

პრემიერის წინ

თეატრი ცოცხლობს, იღვწის

თბილისის თეატრალურ აფიშებში პრემიერის მაუწყებელიც გამოჩნდა. მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი მაყურებელს იწვევს ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ პრემიერაზე. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გოგა ლორთქიფანიძემ, მხატვრობა ეკუთვნის მამია მალაზონიას. ძველი თაობის ნაცნობ მსახიობთა გვერდით ბევრი ახალი გვარია.

რეპერტუარის სამ პიესას კიდევ ერთი მიემატა.

ახლა, როცა ამ თეატრის გარშემო ატეხილი აურზაური ერთგვარად მიყუჩდა, ერთ-ერთმა გაზეთმა ისიც კი გვაუწყა, რომ დღეს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი თითქმის აღარ არსებობსო. ცოტა გაუგებარია და გულსატკენი თეატრისადმი ასეთი დამოკიდებულება, მით უფრო, რომ დასმა ამასწინათ მსოფლიო ფესტივალში წარმატება მოიპოვა. თუმცა ამის თაობაზე და კიდევ, რა ხდება დღეს თეატრში, გვესაუბრება თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რევაზ მაჩაიძე.

— დასში ახალი თაობა მოვიდა და იგი საკმაოდ გადახალისდა. მართალია, ბატონ შალვა გაწერელიას წასვლამ თეატრს დაღი დაასვა, მაგრამ ჩვენ ფარ-ხმალი როდი დაგვიყრია.

საქართველოს პრეზიდენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ჩვენი თეატრი ორ „პატრონს“ დაუქვემდებარა — კულტურის სამინისტროსა და რკინიგზის დეპარტამენტს. ჩვენ დიდად მადლობელი ვართ რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობისა, რომელმაც გულთან მიიტანეს თეატრის გასაჭირი და დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

სპექტაკლებს მთელი წლის მანძილზე ვმართავთ და არც მაყურებელი გვაკლია. რეპერტუარშია ი. გოგებაშვილის „ლეგენდა ივანანაზე“, ტენდრიაკოვის „ბანკეტი“ და ლინდგრენის „ბიჭუნა და კარლსონი“.

თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში „ლეგენდამ ივანანაზე“ სიხარული მოიტანა. ამ სპექტაკლით დასი მონაწილეობდა დონის როსტოვში საბავშვო თეატრების მეოთხე მსოფლიო მინი-ფესტივალში — ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბულგარეთის, შოტლანდიის, ფინეთისა და რუსეთის წარმომადგენელთა გვერდით. ქართულმა სპექტაკლმა ბულგარეთთან ერთად პირველი და მეორე ადგილები გაიყო. სპექტაკლი ანშლაგით მიდიოდა და ოთხჯერ ვუჩვენეთ (სხვებმა - თითოჯერ), სხვათა შორის „ასიტეჟის“ პრეზიდენტისაგან მაიკლ ფიცჯერალდისაგან ახლახან მივიღეთ ბარათი, „სავსე ვარ დონის როსტოვიდან მიღებული შთაბეჭდილებებით, მათგან უმთავრესია და დიდხანს შემომრჩა ის ცოცხალი, ხალასი და ემოციური შთაბეჭდილება, რომელიც თქვენმა სპექტაკლმა მოახდინა, — გვწერს იგი. პიესა უბრალო და მომხიბლავი იყო. პირდაპირი, პატიოსანი, მიმზიდველი და მშვენიერი თეატრალური მომენტების შემცველი. თქვენი სიტყვა ნათლად და ხმამაღლა გაისმა მტკივნეული პრობლემებით სავსე სასოწარკვეთილ სამყაროში. ო, რამდენი რამის თქმა შეძელით ამ ჭეშმარიტად საბავშვო წარმოდგენით. მაგრამ ჩემზე ყველაზე მეტად იმოქმედა და აღმაფრთოვანა თქვენმა ისტორიამ, თქვენმა შეუპოვრობამ, გამბედაობამ. თქვენი ძალისხმევით ქმნით ახალგაზრდულ თეატრს, თანაც შესანიშნავ თეატრს უამრავი უფერულის საპირისპიროდ. ეს არის ეპიკური მასალა და დიდებული თეატრი. თქვენი პროფესიონალიზმი მაგალითია ყველა ჩვენგანისათვის. მე სიამოვნებით გადავცემ თქვენს მაგალითს მსოფლიო საზოგადოებას“. დამეთანხმებით, გულისხმიერი ბარათია. ფესტივალის ორგანიზატორებმა მეორედაც მიგვიწვიეს. თეატრის მთავარი რეჟისორი ქეთევან ხარშილაძე კი ასიტეჟის წევრი გახდა.

ეს ყოველივე უახლოესი წარსულია. დღეს კი დასი ორ ახალ სპექტაკლზე მუშაობს: მარკ ტვენის „უფლისწულსა და მათხოვარს“ დგამს ქეთევან ხარშილაძე, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექიას“ კი რეჟისორი თამაზ მესხი.

ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, სპექტაკლები ვუჩვენოთ რესპუბლიკის რაიონების მოზარდებს. ივნისში ოცდღიანი გასტროლი გვაქვს დაგეგმილი აჭარაში.

გაისად კი თეატრს 70 წელი უსრულდება, საამისო სამზადისს უკვე შევუდექით. როგორც ხედავთ, არც ისე გულხელდაკრეფილები ვართ.

ასეთნაირად მიედინება თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება. იქნებ წყნარად, მაგრამ იგი არსებობს, ცოცხლობს, იღვწის.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათზე: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ რეპეტიცია.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

მილოცვა

ბატონ ზაზა სიხარულიძეს

ბატონო ზაზა!

ცხოვრების განვლილ გზაზე თქვენ უკვე მოასწარით, სიტყვით და საქმით დაგემტკიცებინათ, რომ თქვენი სახით შეჭირვებულ მოყვასს ჰყავს ჭეშმარიტად ერთგული და უღალატო შემწე.

სულის მხნეობა და გაუტეხლობა, რწმენა, და სიყვარული, რასაც თქვენ იჩენთ მოვალეობის აღსრულებისათვის ზრუნვისას, კიდევ უფრო გვიმტკიცებს იმედს, რომ ღვთისშვილთა მოძრაობას არასოდეს დაემუქრება იდეური სილატაკე, არ მოაკლდება მრევლი და საკეთებელი საქმე.

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს თქვენს უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობაში ქვეყნისა და ფიზიკურად შეჭირვებული ადამიანების საკეთილდღეოდ.

ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტის აპარატი.

ხსოვნა

ნიკოლოზ გელაშვილი

საქართველოს ღვინის მრეწველობის ღვაწლმოსილ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერისა და ქვეყნის პატრიოტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, მეღვინეობის კათედრის ყოფილი გამგე, ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი, პროფესორი **ნიკოლოზ ტარასის ძე გელაშვილი.**

იგი იყო გამოცდილი სპეციალისტი, დაუზარელი ექსპერიმენტატორი, ახლის ძიების ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. მეღვინეობის მრეწველობის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია მეღვინეობის სახელმძღვანელოს ორტომეული, რომელზეც აღიზარდა ქართველ მეღვინე სპეციალისტთა თაობები.

15 მაისს ბატონ ნიკოლოზს 80 წელი შეუსრულდებოდა. მან თავისი შინაარსიანი ცხოვრების 60 წელი საქართველოსათვის ტრადიციული, ქართველი გლეხკაცის მიერ საუკუნეების მანძილზე შვილივით ნაზარდი ვაზის კულტურის და საქვეყნოდ ცნობილი საქართველოს მეღვინეობის აღორძინებას, ამ დარგისათვის ეროვნული კადრების აღზრდასა და დაოსტატებას მოახმარა.

პროფესორ ნიკოლოზ გელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მომავალი თაობისათვის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს ერის წინსვლისათვის თავდადებული, საყვარელი საქმის ერთგული ადამიანი, პიროვნება, სპეციალისტი.

მსუბუქი იყოს მისთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელსაც იგი მთელი არსებით ეთაყვანებოდა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი; რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი“.

გახსენება

შოთა ალხანიშვილი

დღეს შესრულდა ერთი წელი, შოთა, რაც ჩვენგან წახვედი, ჩვენო ალალმართალო, გულმართალო, განუმეორებელო მამავ, მეუღლევ, ძმაო, შვილო და ნათესავო, შვილო დედისა, რომელიც შენს გზას გასტირის, მოხუცის ცოდვით იტანჯება.

როგორი შრომისმოყვარეც იყავი, ისეთი ბიოგრაფიაც გქონდა, დაამთავრე სამთო სამშენებლო ტექნიკუმი წარჩინებით, მუშაობდი გეოფიზიკურ კანტორაში ჯერ ოპერატორად, მერე გრავიმეტრიული პარტიის უფროსის მოადგილედ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი სხვადასხვა თანამდებობებზე, თითქმის ათი წლიწადი — სატყეო მეურნეობის დირექტორად, მერე სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მიწათმომწყობად.

საქმეზე უზომოდ შეყვარებული, საოცრად შრომისმოყვარე, ჭეშმარიტი ადამიანი, თავმდაბალი, უფროს-უმცროსობის ტრადიციის მატარებელი, სინდისითა და პატიოსნებით შემკული, გულისხმიერი, უანგარო, უპრეტენზიო, სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე, მიმტევებელი იყავ ყოველთვის, ოღონდ ყველგან სიმშვიდე ყოფილიყო, ყველასათვის ძვირფასო და საყვარელო კაცურო კაცო.

ერთი წელია, სურათებსღა ვეფერებით, უსასრულო სიცარიელეა ჩვენს ოჯახში უშენოდ, დრო ვერ გაანელებს ჩვენს მწუხარებას. პირველად შენმა საყვარელმა შვილიშვილმა რომ გაიგო, შოთა პაპა აღარა გვყავსო, იმ ღამეს მაღალსიცხიანი სულ შენს სახელს ახსენებდა. დაგვრჩა მხოლოდ შენს მიერ დატოვებული სიკეთე.

გეფიცებით, მამა, წმინდად და სათუთად გავუფრთხილდებით შენს კაცურკაცობას, ვეცდებით ჩვენი დამსახურებით გავაცნოთ ყველას შენი თავი, ვინც კარგად არ გიცნობდა.

შვილები, დები, ნათესავები ოჯახებით.

ბაკურ ბენია

ჩემო საყვარელო შვილო ბაკურ, წელიწადნახევარი მთავრდება, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჯალათმა მკვლელმა 19 წლისა გამოგასალმა სიცოცხლეს. მანამდე ერთი წლით ადრე შენი საყვარელი დედის, ჩემი სათნო და ერთგული მეუღლის ნაირას ტრაგიკულად დაღუპვამ გაამწარა ჩვენი ოჯახი. შენ დატოვე შენი საყვარელი დები მაიკო და ირინა, ღირსეული მეუღლე ქეთი მახარობლიძე, ვერ მოესწარი შენი პირმშოს, პატარა ბაკურის ნახვას, რომელიც უკვე წლის გახდება, მისით ვხარობთ და შენს სიყვარულს მასში ვპოვებთ.

შენი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

პროფესორი შალერ ბენია.

საქართველოს განათლების სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა თედო სახოკიას ქალიშვილი

თინათინ თედოს ასული სახოკია

და თანაგრძნობას უცხადებს ქ-ნ შუქია აფრიდონიძეს და გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ ენათმეცნიერს ქალბატონ შუქია აფრიდონიძეს დედის

თინათინ სახოკიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია თანაგრძნობას უცხადებს „საქწიგნის“ მმართველს ზურაბ ჩილაჩავას დედის

ქსენია ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

ფელეტონი

ისევ იქ ხომ, მთავრობაში?

სათაყვანებელი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის 70 წლის იუბილე გამორჩეულად საქმიანი, ხალხმრავალი და გულწრფელი იყო. ამგვარ აკადემიკოსს პატივი მიაგო მთელმა თბილისმა. ღირსეული მამულიშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

მისმა აღზრდილებმა იუბილარის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გავიხსენეთ. მრავალთა შორის ისიც, თუ როგორ თქვა უარი იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერმა კაცმა ჯერ რესპუბლიკის პროკურორის, შემდეგ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთავაზებულ პოსტებზე: მეცნიერებისათვის დაბადებულ კაცს არც შავი მანქანა და არც მთავრობის ტელეფონი არ აინტერესებდა, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის ცხოვრების წესსა და პოზიციას პრინციპულად არ ეთანხმებოდა.

საიუბილეო სხდომას რაც მოჰყვება, კარგად მოგეხსენებათ, და მეც აღმოვჩნდი სადღესასწაულო სუფრაზე. დიდი ხნის უნახავმა კოლეგებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ, მოვილხინეთ, დავლოცეთ ის ადამიანი, ვინაც ფეხზე წამოაყენა აგონიაში მყოფი ჩვენი ქვეყანა და საშუალება მოგვცა მადლიანი ქართული ღვინით ერთმანეთი გვედღეგრძელებინა ავტომატების ხროლის აკომპანიმენტის გარეშე.

აი, ამ სუფრაზე ერთ დროს ჩინოსანმა, ნომენკლატურაში ნალვაწმა და მაინც სრულიად არაპოპულარულმა კაცმა ჩემი სადღეგრძელოს შესმა, გინდა თუ არა ვახტანგურად ისურვა. დავცალეთ ჭიქები და ერთმანეთს გადავხედეთ. თვალებში ჩამაცქერდა და ღიმილით მკითხა:

— ისევ იქ ხომ, მთავრობაში?

— არა, ბატონო... ხომ მოგეხსენებათ, რომ მთავრობის რეორგანიზაცია მოხდა.

— მერე?

— მერედა, ჩემი პროფესიის შესაფერის ელიტარულ დაწესებულებაში გადამიყვანეს.

უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ პოზა არ შეუცვლია. მხოლოდ ღიმილი გაუქრა სახიდან. ალბათ, მიხვდა, რომ ისეთ თანამდებობაზე არ დავუნიშნივარ, ხალხი გაზეთით და ტელევიზიით რომ იგებს.

— მანქანა გელოდება ხომ?

— არა, ბატონო.

— ის მაინც მითხარი, როგორ დაგირეკო, რა ნომერია მთავრობის ტელეფონი?

— არა მაქვს, ბატონო, მთავრობის ტელეფონი...

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, განზე გახტა უცნაურად, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მომაძახა:

— თუ დამჭირდი, გიპოვი, რას იზამ, სე და ვი. — ფრანგულად „დამამშვიდა“.

• • •

ელიავაზე წმინდა სამების საკათედრო ტაძარს საძირკველი ჩაუყარეს. ზღვა ხალხთან ერთად ჩვენც შევუყევით აღმართს. ოჯახის ყველა წევრს თითო რიყის ქვა მიგვქონდა წარწერით ტაძრის საძირკველში ჩასატანებლად. ღვთის ნაბოძები მაღალი სულიერება იგრძნობოდა ყველგან და ყველაფერში.

აღმართის ბოლოს საკმაოდ დაფეხვილი შავი „გაზ-24“ წამოგვეწია. „ვოლგიდან“ ვიღაცამ ხელი დამიქნია. ჩამუქებულ მინებს იქით ვერ ვიცანი. ავტომანქანის ნომრით მივხვდი, ვინც უნდა ყოფილიყო.

ერთმანეთს ტაძრის საძირკველთან შევხვდით. კარგა ხანს ვმუშაობდით ერთ შენობაში, ადრე ერთ ჭაპანსაც ვეწეოდით იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომლის ხსენება დღეს მოდაში აღარ არის.

ერთმანეთი გადავკოცნეთ და მივულოცეთ სრულიად საქართველოს დღესასწაული — საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაწყება.

ცერა თითი ზეცას მიუშვირა და მკითხა:

— ისევ იქ ხომ, მთავრობაში? ფეხით რატომ მოდიოდი?

— როგორა ხარ, ოჯახში ხომ მშვიდობაა? — კითხვას კითხვა მივაგებე. შევატყვე, დაიბნა. მიხვდა, რომ ამ თემაზე საუბარი დიდად არ მეჭაშნიკებოდა.

— რა იყო, რა მოხდა, სადა ხარ?

ვუთხარი, სადაც ვმუშაობ. ისიც ვუთხარი, რომ სამსახურით კმაყოფილი ვარ.

— ვატყობ, რომ გეჩქარება, მითხარი მთავრობის ტელეფონის ნომერი, ხვალვე დაგირეკავ და დაწვრილებით ვისაუბროთ.

— არა მაქვს მთავრობის ტელეფონი, არა მაქვს! — ბოლო სიტყვები რატომღაც დამარცვლით წარმოვთქვი.

მარჯვენა ხელის მტევანი რამდენჯერმე გადააბრუნ-გადმოაბრუნა და დაუმშვიდობებლად გამეცალა.

მანქანაში ჩაჯდომის წინ კიდევ ერთხელ გადმომხედა, როგორც „ღვთის გლახას“ და შეწუხებული სახით მითხრა:

— რას იზამ, თავს ნუ მოიკლავ, უნდა შეეგუო.

• • •

ძველ სამსახურში ბოლო ხელფასის ასაღებად მისვლა მომიწია. ლიფტში „ვარსკვლავთცვენის“ დროს „გამომცხვარი“ გენერალი შემხვდა.

მისალმება არ მაცალა, ისე მომახალა:

— დაგიქნიეს ხომ! გეგონა, რომ დაგიფასებდნენ?!

შევცბი, გავშრი, ენა ვერ მოვაბრუნე. გამახსენდა ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდი. დერეფანში რომ შემხვდებოდა, კედელს აეკვრებოდა, თავს დახრიდა და კოსტუმის ღილების შეკვრას იწყებდა: შემხედე შენი ყურმოჭრილი მონა ვარო.

— ასეა ძმაო, — გააგრძელა, — ეს ცხოვრება კიბეა. ლიფტია, ზოგი ადის, ზოგი ჩადის. რას იზამ, უნდა გაუძლო.

სურვილი გამიჩნდა ყელში ვწვდომოდი, სამხრეები ამეგლიჯა (მაქვს ამის „გამოცდილება“) და ხმამაღლა მეთქვა:

— რა მჭირს გასაძლები! ერთი ჩვეულებრივი ქართველის ვალი მეც მაქვს მოხდილი ქვეყნის წინაშე, სამი შვილი გავუზარდე საქართველოს. შენგან განსხვავებით, არც ოჯახისთვის მიღალატია, არც მამის საფლავისთვის, არც მეგობრებისთვის და არც იმ კაცისთვის, ვისი სადღეგრძელოს შესმას დღეს არავინ დაგასწრებს. არც შენისთანა მთხლე გენერლობა მინდა, არც დაუმსახურებელი სავარძელი.

ამას იმათთვის უფრო ვამბობ, ვინც აწი შემხვდება და მკითხავს:

— ისევ იქ ხომ, მთავრობაში?

ნუგზარ ქავთარაძე.

სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ამა წლის 3 მაისს დანიშნულ აქციონერთა კრებასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ

სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციონერებმა (მათ შორის ყოფილმა მეპაიე-მეანაბრეებმა) ტერიტორიული (ქალაქი, რაიონი) პრინციპის მიხედვით საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით უზრუნველყონ წერილობითი მინდობილობის საფუძველზე აქციონერების კუთვნილი ხმების ერთ რწმუნებულზე დელეგირება და მისი აქციონერთა საერთო კრებაზე დასწრება.

დაწვრილებითი ინფორმაციებისთვის მიმართეთ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალებს და საორგანიზაციო კომიტეტს სათაო ბანკში.

მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის № 37, ტელ.: 99-71-73.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ დირექტორატი.

მორიგე რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი, 380096, [illegible], 8. [illegible] 66686. ტელ.: [illegible]

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.